პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

18 სექტემბერი, კვირა, 1988 წ.
№ 181 (9847) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან




საბჭოთა სპორტსმენების დელეგაცია ოლიმპიადის საზეიმო გახსნაზე.

# ოლიმპიადა გაიხსნა

**სეულის** გეოგრაფიული მდებარეობა ყველასათვის ცნობილია. XXIV ოლიმპიადის დედაქალაქი წამოჭიმულა იმ მერიდიანის მახლობლად, საიდანაც დედამიწაზე ახალი დღე იწყება. მოსკოვში შაბათის დილა თენდებოდა, ამერიკის კონტინენტზე კი პარასკევი იწურებოდა, როცა სეულში ოლიმპიადის მონაწილეთა სადღესასწაულო სვლა დაიწყო...

ოლიმპიური ქარტიის თანახმად სტადიონის ტრიბუნებს პირველად საბერძნეთის სპორტსმენთა დელეგაციამ უნდა ჩაუაროს, იმ ქვეყნის წარმომადგენლებმა, რომლებმაც კაცობრიობას ეს ლამაზი დღესასწაული აჩუქეს. პარადის მონაწილეთა პირველი კოლონის გამოჩენას 100 ათასიანი სტადიონი, ბუნებრივია, მქუხარე და ხანგრძლივი ტაშით შეხვდა.

ტაში და მისალმების შეძახილები არც სხვა დელეგაციებს დაკლებიათ. სამხრეთკორეელი მაყურებლები გულღია მასპინძლები ყოფილან და, ბუნებრივია, ცდილობდნენ თავიანთი კეთილი დამოკიდებულება ყველა დელეგაციის მიმართ გამოემჟღავნებინათ.

განსაკუთრებით თბილი შეხვედრა მოუწყეს მასპინძლებმა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო დროშის გამოჩენას, რომელიც მოჰქონდა კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ნაკრების გუნდის წევრს ალექსანდრე კარელინს. ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებს სეულში მთავარ ფავორიტად მიიჩნევენ. ადგილობრივი და უცხოელი სპეციალისტების აზრით, არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება სწორედ საბჭოთა დელეგაციამ უნდა მოიპოვოს. იმასაც კი ამბობენ, რომ საბჭოთა ოლიმპიელები 50-ამდე ოქროს მედალს დაისაკუთრებენო, გაცილებით უფრო მეტს ვიდრე სხვა ქვეყნების წარმომადგენლები.

იხ. მე-4 გვ.





ოლიმპიური ჩირაღდანი სტადიონზე შემოატარა სეულის ქალთა უნივერსიტეტის სტუდენტმა, 1986 წლის აზიის თამაშების სამგზის ჩემპიონმა, 19 წლის ლიმ ჩუნ-ემ; ოლიმპიური ცეცხლი და ალამი სეულის სტადიონზე.
საქდეს-საქინფორმის ფოტოები.

# ხვალ თელავში საზეიმოდ გაიხსნება მაია ჩიბურდანიძისა და ნანა იოსელიანის მსოფლიო პირველობის მატჩი ჭადრაკში

**ხვალ, 19 სექტემბერს, 19 საათზე თელავის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში გაიხსნება მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო პირველობის მატჩი მაია ჩიბურდანიძესა და ნანა იოსელიანს შორის. აი, ზოგიეთი რამ ამ მატჩის შესახებ.**



## მაია ჩიბურდანიძე

**დაიბადა 1961 წლის 17 იანვარს, ქუთაისში.
საერთაშორისო დიდოსტატი (1977);
საერთაშორისო დიდოსტატი ვაჟთა შორის (1984);
სპორტის დამსახურებული ოსტატი (1979);
სსრ კავშირის ჩემპიონი (1977);
საჭადრაკო ოლიმპიადის ხუთგზის გამარჯვებული (1978, 1980, 1982, 1984, 1986).
„საჭადრაკო ოსკარის" ოთხგზის მფლობელი (1984, 1985, 1986, 1987); მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორი.
მსოფლიო პირველობის გათამაშებაში მონაწილეობს 1975 წლიდან. პირველივე ცდიდან წარმატებით განვლო შესარჩევი შეჯიბრებები და 17 წლის ასაკში მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის წოდება. ეს მოხდა 1978 წელს. ამის შემდეგ ჩიბურდანიძემ კიდევ სამჯერ მოიპოვა უძლიერესის ტიტული.
ფიდე-ს რეიტინგი — 2555.**

## ფიდე-ს გადაწყვეტილებები

**მოჭადრაკე** ქალთა მსოფლიო პირველობის მატჩი მსოფლიო ჩემპიონს, დიდოსტატ მაია ჩიბურდანიძესა და პრეტენდენტს, დიდოსტატ ნანა იოსელიანს შორის საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის (ფიდე) გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილების შესაბამისად ტარდება.

მატჩში 16 პარტია უნდა გათამაშდეს. ის, ვინც ადრე მოაგროვებს 8,5 ან 9 ქულას, გამოცხადდება გამარჯვებულად. თუ მატჩი ყაიმით (8:8) დამთავრდა, ჩემპიონის ტიტულს მაია ჩიბურდანიძე შეინარჩუნებს.

მეტოქეები კვირაში სამ პარტიას გაითამაშებენ. მათ სამ-სამი ტაიმაუტის აღების უფლება აქვთ.

თითოეულ მეტოქეს შეუძლია ორი სეკუნდანტი ჰყავდეს.

მატჩში სადავო საკითხებს განიხილავს სააპელაციო კომიტეტი, რომლის გადაწყვეტილება საბოლოო იქნება.

### მსაჯთა კოლეგია

**მატჩის** მთავარი მსაჯია საერთაშორისო ოსტატი, საერთაშორისო არბიტრი **იაროსლავ შაიტარი** (ჩეხოსლოვაკია). მისი მოადგილეა საერთაშორისო ოსტატი **თამარ გოლოვეი** (სსრ კავშირი).

იხ. მე-3 გვ.



## ნანა იოსელიანი

**დაიბადა 1962 წლის 12 თებერვალს, თბილისში;
საერთაშორისო დიდოსტატი (1979);
სსრ კავშირის ოთხგზის ჩემპიონი (1981, 1982, 1986, 1987);
საჭადრაკო ოლიმპიადების ორგზის გამარჯვებული (1980, 1982);
ევროპის პირველი ჩემპიონი გოგონათა შორის (1978). მომდევნო წელს მან გაიმეორა ეს წარმატება;
მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორი;
მსოფლიო პირველობის გათამაშებაში მონაწილეობს 1978 წლიდან. 1979 წელს გაიმარჯვა რიო-დე-ჟანეიროს საზონათშორისო ტურნირში. 1981 წელს პრეტენდენტთა მატჩებში მიაღწია ფინალამდე; ჰავანის საზონათშორისო ტურნირში. (1985) გაიყო III-V ადგილები, მაგრამ დამატებით მატჩ-ტურნირში (სტოკჰოლმი) II ადგილი დაიკავა და გამოეთიშა ბრძოლას; ტუზლას საზონათშორისო ტურნირში დაიკავა I ადგილი; წყალტუბოს პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირის გამარჯვებული.
ფიდე-ს რეიტინგი — 2495.**

## პროფესიული სპორტსაზოგადოების შეჯიბრებებზე

### ტაშკენტის რინგზე

**ტაშკენტში** გამართულ პროფკავშირების საკავშირო პირველობაზე კრივში მძიმე წონის ქუთაისელი სპორტსმენი დომენტი დანელია მესამე საპრიზო ადგილს დაეუფლა.

**იქვე,** უზბეკეთის ღია ჩემპიონატზე ბაიდარებით ასპარეზობაში ჩვენი რესპუბლიკის პროფკავშირელმა ნიჩბოსნებმა ზ. ახალაშვილმა, ი. შახიჯანოვმა, ბ. ყაველაშვილმა და ა. უსუპაშვილმა ოთხადგილიანი ნავებით ასპარეზობაში მესამე ადგილი დაიკავეს და სპორტის ოსტატობაც მოიპოვეს.

### მძიმეში და აბსოლუტურშიც

**დნეპროპეტროვსკის** ტატამზე, სადაც დამთავრდა პროფკავშირელ ძიუდოისტთა საკავშირო პირველობა, ორი საპრიზო ადგილი მოიპოვა გორელმა მოჭიდავემ მიხეილ ხუმარაძემ. იგი ჯერ მესამე ადგილს დაეპატრონა მძიმე წონით კატეგორიაში, შემდეგ კი ძალა სცადა აბსოლუტურ პირველობაში და იქ ვერცხლის მედალი მოიპოვა.

### ფედერაციების ახალი შემადგენლობა

ამ დღეებში გაიმართა ძიუდოსა და სამბოს რესპუბლიკური ფედერაციების სხდომა და ახალი თავმჯდომარეების არჩევნები.

ძიუდოს ფედერაციის ყოფილ თავმჯდომარეს მიხეილ ცისკარიშვილს გაწეული მუშაობისთვის გამოეცხადა მადლობა და დაჯილდოვდა საქართველოს სპორტსახკომის საპატიო სიგელით, რესპუბლიკური ფედერაციის ახალ თავმჯდომარედ არჩეულია ანდრო ღლონტი.

ასევე მადლობა გამოეცხადა მუშაობისთვის და საქართველოს სპორტსახკომის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა სამბოს ფედერაციის ძველი ხელმძღვანელი შოთა ორჯონიკიძე. მის ნაცვლად თავმჯდომარედ აირჩიეს ილია ქავზიშვილი.

ეს ყველას აინტერესებდა

დაიგზავნა საგანგებო წერილი

# სოფელი ელის სპეციალისტებს

„ლელომ“ წლეულს რამდენჯერმე გამოაქვეყნა საგანგაშო ცნობა იმის შესახებ, რომ ჩვენი რესპუბლიკის ცალკეულ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ამ ორგანიზაციათა სამეურნეო ანგარიშზე გადასვლასთან დაკავშირებით აუქმებენ ფიზკულტურის მეთოდისტის შტატს.

და აი, რესპუბლიკის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა და საქართველოს პროფსაბჭომ, ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ხელმოწერით, საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, გაერთიანებების ხელმძღვანელებსა და პროფკავშირულ კომიტეტებს დაუგზავნა ერთობლივი საგანგებო წერილი, სადაც კატეგორიულად არის მითითებული სოფლად ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესების აუცილებლობაზე.

წერილში ნათქვამია, რომ ფიზკულტურა და სპორტი სოფლად სოციალური სფეროს განუყოფელი ნაწილია. მას დიდი როლი ენიჭება აგრეთვე ახალგაზრდობის თავიანთ საცხოვრებელ ადგილებზე დამაგრების საქმეში. ამავე დროს, სოფლად სათანადო ყურადღება არ ეთმობა მატერიალურ-სპორტული ბაზის განმტკიცებას, ხოლო ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში აუქმებენ ფიზკულტურის მეთოდისტის შტატს. ამგვარი მოქმედებით ხელმძღვანელი მუშაკები უგულებელყოფენ ფიზკულტურისა და სპორტის სოციალურ როლს, მის მნიშვნელობას მშრომელთა ჯანმრთელობის განმტკიცების, დაავადებათა შემთხვევების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლების საქმეში.

სახაგრომრეწვის კომიტეტი და რესპუბლიკის პროფსაბჭო ცალკეული შრომითი კოლექტივების ყურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ აუცილებლად უნდა მოგვარდეს ფიზკულტურისა და სპორტის სფეროს ის საკითხები, რომლებიც გათვალისწინებულია კომპლექსურ-მიზნობრივ პროგრამა „ჯანმრთელობაში“, შრომით ხელშეკრულებებსა და სოციალისტური შეჯიბრების პირობებში. ჩვენი აზრით, ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია აგრეთვე ის, რომ საწარმოებს, ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს ევალებათ შემოიღონ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის სპეციალისტის თანამდებობა და განუსაზღვრონ მას ხელფასი კატეგორიის არმქონე სპეციალისტთა დონეზე. საამისოდ ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული სასწავლებლად ორგანიზაციის სტიპენდიით ახალგაზრდობის გაგზავნა და მომზადება. წერილში სოფლად ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი აღმავლობა მიჩნეულია იმ სოციალური და ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეზერვად, რომლებიც დღეს დგას რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის წინაშე.



გორის ეკონომიკური ინსტიტუტის სტუდენტები რაიონის სხვადასხვა კოლმეურნეობებსა და მეურნეობებში ერთი თვის მანძილზე დაეხმარებიან ხილის-კრეფაში. [illegible] ენერგიასა და შრომას არ დაიშურებენ გეგმის შესრულებაში.

გორის რაიონის შინდისის საბჭოთა მეურნეობაში სხვებთან ერთად შრომობენ ცნობილი ძიუდოისტები, ევროპის, საბჭოთა კავშირის 4-გზის და სპარტაკიადის ჩემპიონი, მსოფლიო უნივერსიადის პრიზიორი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი კობა კურტანიძე, მსოფლიოსა და საბჭოთა კავშირის უნივერსიადების პრიზიორი, 1988 წლის საკავშირო უნივერსიადის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ენგური გოგიჩაშვილი და სპორტის ოსტატი ივანე ბოლოთაშვილი.

სურათზე: მარცხნივ კობა კურტანიძე და ენგური გოგიჩაშვილი შინდისის საბჭოთა მეურნეობაში ხილის კრეფის დროს.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

# ქუთაისელი ჰოკეისტები — საერთაშორისო სარბიელზე

ბალახის ჰოკეი — სპორტის ეს უძველესი და ოლიმპიური სახეობა სულ უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭს ჩვენს ქვეყანაში. საკავშირო პირველობის პარალელურად ეწყობა არაერთი საინტერესო ტურნირი და შეჯიბრება. დიდი ყურადღება ეთმობა რეზერვის აღზრდისა და დაოსტატების საქმესაც. საბჭოთა სპორტსმენები თითქმის ყველა დიდ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობენ და დღეს ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდები ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენენ საერთაშორისო სარბიელზე.

ჩვენს ქვეყანაში ბალახის ჰოკეის პოპულარობის ზრდაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ამასწინათ, როცა საკავშირო ჩემპიონატში ორკვირიანი შესვენება გამოცხადდა, ქალაქ პანევეჟისში ჩატარდა საკმაო წარმომადგენლობითი საერთაშორისო ტურნირი ვაჟთა გუნდებს შორის.

პანევეჟისის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობა მიიღეს უმაღლესი ლიგის გუნდმა ლენინგრადის „ვოლნამ“, ლიტვის ნაკრებმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონატის მესამე პრიზიორმა, ქალაქ ერფურტის კლუბმა „ტისამ“, პირველი ლიგის კოლექტივებმა — კიროვაკანის „ლორმა“, სამარყანდის „სპარტაკმა“ და ქუთაისის „ლოკომოტივმა“.

ჩვენმა ჰოკეისტებმა თანმიმდევრობით დაამარცხეს კიროვაკანის „ლორი“ — 2:1, ლიტვის ნაკრები — 3:2, ერფურტის „ტისა“ 2:0 და ფინალში უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ წამყვან გუნდს — ლენინგრადის „ვოლნას“ შეხვდნენ. მინიმალური ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს ნევისპირელმა ჰოკეისტებმა და პირველი ადგილი მათ დაიკავეს, ქუთაისელები კი მეორე ადგილზე გავიდნენ. ეს შედეგი, ცხადია, ჩვენი ჰოკეისტების წარმატებად უნდა მივიჩნიოთ.

ტურნირის საუკეთესო ბომბარდირისთვის დაწესებული პრიზი გადაეცა „ლოკომოტივის“ გუნდის წევრს ავთანდილ კოხრეიძეს, რომელმაც ექვსი ბურთი გაიტანა.

გუნდს ხელმძღვანელობდნენ მწვრთნელები ქ. ბაზაძე და თ. ძიძიგური.

თამაზ კოლხიდელი.
(„ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი).
ქუთაისი.

# შეხვედრა ვეტერანებთან

დარბაზში ჩვენი სახელოვანი ვეტერანი სპორტსმენები: ქეთევან ლოსაბერიძე, დავით ციმაკურიძე, რაფიელ ჩიმიშკიანი, რობერტ შავლაყაძე, ბორის პაიჭაძე, გრიგოლ გაგუა, მიხეილ ქელეხსაშვილი, დიტო შანიძე, ნოდარ დაირბაისელი შემოვიდნენ...

ასეთი შეხვედრები უკვალოდ არ ჩაივლის ხოლმე, იგი სასიამოვნო მოგონებად რჩება მათთვის, ვისაც ჯერ კიდევ ახსოვს ჩვენი სპორტის კორიფეების წარმატებები.

თბილისის „შრომითი რეზერვების“ სპორტის სასახლეში გამართული ეს თეატრალიზებულ-იმპროვიზებული სანახაობა „ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდის ერთთვიურს“ და სეულის ოლიმპიადის დაწყებას მიეძღვნა. იგი ლენინის რაიონის საბინაო-საექსპლოატაციო ტრესტმა (ფიზკულტურის მეთოდისტი ლალი ქარქუზაშვილი) და ამავე რაიონის სპორტკომიტეტმა მოაწყო დევიზით: „ეზოს გუნდიდან ოლიმპიურ ჩემპიონამდე“ შეხვედრაზე მოწვეულები იყვნენ ამ რაიონში მცხოვრები სპორტსმენები, ან, ვინც მონაწილეობდა მის ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებაში.



მშვენიერი კონფერანსიე გამოდგა სპორტის ოსტატი, მსროლელი თეიმურაზ ლაკია, მან შეხვედრა ცოცხლად, დინამიურად და შინაარსიანად წარმართა, სპორტსმენებს საკუთარი ლექსები მიუძღვნეს თბილისის მეტროპოლიტენის უფროსმა ოპერატორმა ეთერ აფაქიძემ და ჟურნალისტმა სიმონ ბალახაძემ. ვეტერანებმა გაიხსენეს ეპიზოდები თავიანთი სპორტული ბიოგრაფიიდან. დროდადრო ასპარეზი ეთმობოდა მოსწავლეთა მხატვრულ ანსამბლებსა და სპორტულ გამოსვლებს.

ჯემალ კასრაძის
ტექსტი და ფოტოები.







# „ოლიმპიური მარათონი“ თბილისში

ახალი სასწავლო წლის დაწყებასა და XXIV ოლიმპიური ასპარეზობის გახსნას ეძღვნება მძლეოსანთა „მარათონი“, რომელიც გაიმართება დღეს ჩვენს დედაქალაქში. ასპარეზობაში, რომელიც იმართება საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს და რესპუბლიკის სპორტსახკომის ინიციატივით, მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას, ვინც სპორტს მეგობრობს.

— მარათონის სახელწოდება სიმბოლურია, — თქვა სამინისტროს ფიზაღზრდისა და სპორტის განყოფილების უფროსმა მურთაზ მნათობიშვილმა. — ყველამ ხომ იცის, რომ ტრადიციული მარათონი ეს არის 42 კილომეტრზე მეტი დისტანცია. ჩვენ კი მონაწილეებს ვთავაზობთ უფრო მოკლე მანძილს. სტარტი მიეცემა გამარჯვების პარკთან, ფინიში კი გაიმართება ლენინის ქუჩაზე, ყოფილ აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკასთან.

მაგრამ ჩვენი შეჯიბრების პირობები შეესაბამება დიდი მარათონის ყველა წესს და მას ოლიმპიური დევიზი აქვს: „მთავარია მონაწილეობა“. სავალდებულო არ არის მთელი მანძილის დაფარვა. ყოველი მონაწილე თავისი ფიზიკური შესაძლებლობების კვალობაზე გაირბენს დისტანციას, რომელიც ხელეწიფება. დისტანციაზე ქალთა და ვაჟთა შორის სამ საუკეთესოს გადაეცემა პრიზები — ველოსიპედები, ხოლო იმათ, ვინც ფინიშამდე მივა, — სამახსოვრო ვიმპელი. სხვათა შორის, ჩვენი მარათონის სპონსორები გახდნენ რესპუბლიკის სპორტული გაზეთი „ლელო“ და საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი. მარათონი ტრადიციული გახდება და ყოველთვის მისი დისტანცია სულ უფრო გაიზრდება.

საორგანიზაციო კომიტეტმა უკვე მიიღო 27 ათასი კაცის განაცხადი. უნდა ვივარაუდოთ, რომ კვირას სტარტზე გაცილებით მეტი მონაწილე გამოვა.

მარათონი სტარტს დილის 11 საათზე აიღებს. (საქინფორმი).

ლახტის წრეში

# „გვიჭირს გორელებს“

გორის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის კრივის დარბაზის გახაჭირი გვინდა გაგანდოთ. დარბაზს უკავია პატარა სათავსი, რომელიც სახადილო ოთახად იყო გათვალისწინებული. მისი ზომებია 4,5X9 მ, უნდა იყოს სულ ცოტა 10X20-ზე. აკრავს ორი კედელი ბლოკით, ორი კი დიდი მინებით, რომელთანაც მჭიდროდ იდგა რინგი. ვარჯიშის დროს ყოფილა მრავალი შემთხვევა, როდესაც მოკრივე დაჯახებია და 3-მეტრიანი სიმაღლის მინა ჩამომსხვრეულა. ამის გამო ჩვენი ოლიმპიური რინგი, რომელიც სივიწროვის გამო ავიღეთ, უკვე 3 წელია სათავსში დევს. ბავშვებს კი მხოლოდ შეჯიბრებებზე უწევთ ნამდვილ რინგზე ბრძოლა. გვყავს იმედის მომცემი ჭაბუკები, რომლებთანაც უკვე დიდი ხანია ვმუშაობთ. შედეგიც დამაკმაყოფილებელია — წელს მოსწავლეთა რესპუბლიკური შეჯიბრების ჩემპიონები გახდნენ გიორგი რევაზაშვილი და ზაურ ელიოზაშვილი, ელიოზაშვილმა გაიმარჯვა აგრეთვე დავით კვაჭაძის საკავშირო ტურნირშიც. მათ მხარდამხარ ვარჯიშობენ რესპუბლიკის ჩემპიონები და პრიზიორები. ადრე ამ დარბაზში გაიზარდნენ სპორტის ოსტატები რაფიელ ადამიანი — რესპუბლიკური სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორი, გელა სხირტლაძე — სასომხეთის ღია პირველობის გამარჯვებული, ვაჟა ცაციაშვილი — საერთაშორისო ტურნირის პრიზიორი, საკავშირო სოფლის სპორტსმენთა თამაშების პრიზიორი, საქართველოს ჩემპიონი. ჭაბუკთა II რესპუბლიკური თამაშების ჩემპიონი, ხვიჩა მარტიაშვილი და მრავალი სხვა. პატარა დარბაზში, რომლის ზომები უკვე მოგახსენეთ, ერთდროულად 20 მოკრივე ვარჯიშობს (ჯგუფში ნაკლები არ შეიძლება), ამიტომ სათანადოდ ვერ ვტვირთავთ აღსაზრდელებს, რადგან ამის საშუალება არ არის. მოუთმენლად ველით ყოველ ახალ სასწავლო წელს იმ იმედით, რომ იქნებ დახმარება აღმოგვიჩინონ, მაგრამ ამაოდ... გთხოვთ მობრძანდეთ, ნახოთ რა პირობებში ვვარჯიშობთ და ვმუშაობთ. მწვრთნელებს და ბავშვებს ერთი გახახდელი გვაქვს. არც საშხაპეა, ვარჯიშის შემდეგ დავდივართ სხვა დარბაზებში.

გთხოვთ დახმარებას.

გიორგი კარელიძე,
ავთანდილ ზოზიაშვილი.
მწვრთნელები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

**გუშინ** გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 24-ე ტურის მატჩი.

თბილისის დინამოელებმა ვილნიუსში ითამაშეს „ჟალგირისთან".
თამაში დამთავრდა სტუმრების გამარჯვებით — 1:0.
ბურთი თერთმეტმეტრიანი დარტყმით გოგიჩაიშვილმა გაიტანა.

### I ლიგა

**გუშინ** შედგა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 33-ე ტურის შეხვედრები.

მეტად საინტერესო მატჩი გაიმართა ლანჩხუთში, სადაც ადგილობრივმა „გურიამ" მიიღო ლიგის ლიდერი დუშანბეს „პამირი".
შეხვედრა დამთავრდა ლანჩხუთელთა გამარჯვებით — 1:0.

ბათუმში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო" და ლიდერთა ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენელი ტაშკენტის „ფახთაქორი".
გაიმარჯვეს სტუმრებმა — 2:0.

## რუმენიგე ასახელებს ფავორიტებს

ცნობილმა დასავლეთგერმანელმა ფეხბურთელმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ ჟურნალისტებთან საუბარში ილაპარაკა ევროპული საფეხბურთო ტურნირების ფავორიტების შესახებ.

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე, ჩემი აზრით, სამი ფავორიტია: „მილანი", მადრიდის „რეალი" და „პორტუ". არა მგონია, რომ „ეინდჰოვენმა" (ჰოლანდია) კვლავ წარმატებით ითამაშოს და გაიმეოროს 1987-88 წლების ტურნირის შედეგი. თასების მფლობელთა თასის დაუფლების ყველაზე სერიოზულ პრეტენდენტად „ბარსელონას" ვთვლი, უეფა-ს თასის ფინალში კი, ჩემი აზრით, მიუნხენის „ბაიერნი" და მილანის „ინტერი" უნდა გავიდნენ.

## სამი ცნობილი ბრაზილიელი

თურქეთის პირველი ლიგის კლუბ „მალატიასპორში" ამჟამად ბრაზილიის ნაკრების ორი ყოფილი ფეხბურთელი თამაშობს: თავდამსხმელები ედერი და სერჟინიო. ამ მოკლე ხანში მათ შეუერთდება კიდევ ერთი ცნობილი ბრაზილიელი ოსტატი — მეკარე კარლოსი.

## ფიდე-ს გადაწყვეტილებები

(დასასრული)

### საპელაციო კომიტეტი

**კომიტეტის** თავმჯდომარეა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო არბიტრი **გიორგი გაჩეჩილაძე**. თავმჯდომარის მოადგილეები არიან საერთაშორისო არბიტრი **ალექსეი სეროვი** (სსრ კავშირი) და მატჩის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, თელავის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **გივი ბეციაშვილი**.

### შეხვედრათა განრიგი

**მ. ჩიბურდანიძე — ნ. იოსელიანის** მატჩი საზეიმოდ გაიხსნება 1988 წლის 19 სექტემბერს, 19 საათზე. მატჩი დაიწყება 20 სექტემბერს, 16 საათზე.

როგორც ზემოთ ითქვა, კვირაში გაიმართება სამი პარტია. თამაშის დღეები: სამშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი. გადადებული პარტიების დამთავრების დღეები: ოთხშაბათი, პარასკევი, კვირა. ორშაბათობით მოჭადრაკეები ისვენებენ.

### სეკუნდანტები

**მაია ჩიბურდანიძის** — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელები, საერთაშორისო დიდოსტატი [illegible] (ვოროშილოვგრადი) და საერთაშორისო ოსტატი [illegible] (ლენინგრადი).

**ნანა იოსელიანის** — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო დიდოსტატი **ვიტალი ცეშკოვსკი** (კრასნოდარი) და საერთაშორისო ოსტატი **ელიზბარ უბილავა** (თბილისი).

## მიხეილ ტალი: „არავითარ პროგნოზებს არ ვაკეთებ!"

**— ინტერვიუ პარტიის წინ? — გაკვირვებით მკითხა მსოფლიოს ექსჩემპიონმა მიხეილ ტალმა, — გინდათ, ტრადიცია დავარღვიო?**

**მსოფლიო ექსჩემპიონს პარტიამდე ერთი საათიღა რჩებოდა და იმ დღეს ჩვენი ინტერვიუ არ შემდგარა. მაგრამ მეორე დილით ძალზე თავაზიანი „რიგელი ჯადოქარი" მაინც დაგვთანხმდა ინტერვიუზე. ტრადიცია დაირღვა და დიდოსტატმა წააგო პარტია სტიუარტ კონკუესტთან. იქნებ, ეს მართლაც ინტერვიუს ბრალი იყო, გვაპატიეთ, დიდოსტატო!**



— ვიქტორ გოგლიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში მესამედ ვმონაწილეობ. „მაგნიტი" თავად პირველი ქართველი ოსტატის ვიქტორ გოგლიძის სახელი გახლავთ, სახელი ადამიანისა, რომლის შესახებაც ჩემი მოჭადრაკედ ჩამოყალიბების ხანაში ბევრი წამეკითხა და გამეგონა, ხოლო 50-იან წლებში ჯერ მოზარდთა საკავშირო ტურნირების მონაწილე, შემდეგ კი, 1956 წელს ჩვენი მოზარდთა გუნდის ნორჩი მწვრთნელი რომ გავხდი, ბატონი ვიქტორი ჩემს კოლეგად მიმაჩნდა. ერთი სიტყვით, როცა ჩვენ ერთმანეთი გავიცანით, ჯერ კიდევ საკმაოდ უცნობი ოსტატი გახლდით. იგი მომხიბვლელი, სასიამოვნო ადამიანი იყო — სწორედ ერთ-ერთი ამ ეპითეტთაგანი უხდება მას ყველაზე მეტად. იმავე 1956 წელს საჭადრაკო გზებმა პირველად მომიყვანა თბილისში, სადაც ქვეყნის პირველობის ნახევარფინალური ტურნირი ტარდებოდა და მე და ბატონმა ვიქტორმა უფრო ახლოს გავიცანით ერთმანეთი. საოცარი ადამიანი გახლდათ. არაფერია გასკვირი იმაში, რომ გოგლიძის ხსოვნის ტურნირი ტრდიციად იქცა.

პირველად გოგლიძის მემორიალში 1969 წელს მივიღე მონაწილეობა. ეს ჩემთვის საკმაოდ სამახსოვრო წელია. იმ დროს თბილისში ვიმყოფებოდი, ჯანმრთელობა მაწუხებდა. მოსკოვში ოპერაცია დამინიშნეს, თირკმელი უნდა ამოეკვეთათ, მითხრეს, ორი თვე მაინც დაგჭირდება მოსამჯობინებლადო, მეკი სწორედ ის ორი თვე არ მქონდა თავისუფალი. მაგრამ აი, მეგობრებმა ცნობილი ქირურგი, პროფესორი [illegible] გამაცნეს, რომელმაც ნოემბრის ბოლოს გამიკეთა ეს ოპერაცია. იცით, რას ამბობდნენ? თირკმელიანი ტალი კი დიდოსტატი, უთირკმელო კი ვინ იცისო... უცხოურ პრესაში გაიელვა ცნობამ იმის შესახებ, რომ ჩემი ორთაბრძოლა თირკმელთან მისი სრული გამარჯვებით დამთავრდა.

ტურნირი 15 დეკემბერს იწყებოდა. მისი ერთ-ერთი მონაწილე, საერთაშორისო ოსტატი ლიუბომირ მაშიჩი ჩემს დანახვაზე პირდაპირ გაოგნდა. „მიცვალებულის" პირობაზე არცთუ ცუდად ვითამაშე — I-II ადგილები გავიყავი ბუხუტი გურგენიძესთან ერთად.

მეორედ, როცა მრავალი წლის შემდეგ კვლავ ჩავები ტურნირში, ისევ I-II ადგილები გავიყავი ჩემს ახალგაზრდა კოლეგასთან, ზურაბ აზმაიფარაშვილთან ერთად, რომელსაც საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის კონგრესი დღეღდეზე ოფიციალურად აღიარებს დიდოსტატად.

ახლანდელი ტურნირი ჯერჯერობით არც ისე კარგად აეწყო ჩემთვის, მაგრამ მამშვიდებს ის, რომ ის ადამიანიც, რომელთან ერთადაც, ტრადიციის მიხედვით, I-II ადგილები უნდა გავიყო, — ერთადერთი თბილისელი საერთაშორისო ოსტატი ელიზბარ უბილავაც, მთლად წარმატებით ვერ გამოდის. მე მის ადგილიდან მოწყვეტას ველოდები, რათა თვითონაც მოვწყდე ადგილიდან, თუმცა, ვფიქრობ, ამჯერად მეტოქეები ასე დამყოლნი არ იქნებიან. წელს, იანვრიდან მოყოლებული, აპრილის ჩათვლით, ჭადრაკს ფაქტიურად „ნონ-სტოპით" ვთამაშობდი და „მოწამვლის" სიმპტომები ვიგრძენი. მერე ოთხი თვე ვისვენებდი ჭადრაკისგან. პირველი ტურნირი, რომელშიც ამის შემდეგ გამოვედი, იყო მოსკოვის ჩემპიონატი ელვისებურ ჭადრაკში. იქ რატომღაც თამაში გამომივიდა; აქ კი ჯერჯერობით, როგორც ხედავთ არ გამომდის.

**⊙ რას ფიქრობთ ჩიბურდანიძე — იოსელიანის მატჩის თაობაზე?**

— ერთადერთი პროგნოზი, რომლის უფლებასაც მივცემ თავს, გახლავთ ის, რომ გაფრინდაშვილ — ჩიბურდანიძის მატჩის შემდეგ არ ყოფილა იმაზე უფრო საინტერესო მატჩი, რომელიც ზეგ დაიწყება თელავში. მაიას მეტოქეების — ირინა ლევიტინასა და ელენა ახმილოვსკაიასადმი ჩემი დიდი პატივისცემისა და სიმპათიების მიუხედავად, მაშინ თითქმის ყველას შეეძლო მატჩის ბედის წინასწარ გამოცნობა. დიდი, პრინციპული განსხვავება ჩემპიონსა და ამ წოდების პრეტენდენტებს შორის ის გახლდათ, რომ მაია მთელ მატჩს ერთი ამოსუნთქვით ატარებდა, მეტოქეებს კი შეცდომის შემდეგ ეწყებოდათ ჩავარდნა. ორივე მატჩი ვადამდე დამთავრდა. აქ კი, მე მგონია, პარტიათა მინიმალური რაოდენობა თხუთმეტი იქნება.

ვფიქრობ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ საჭადრაკო სამყაროს დიდი ნაწილის თვალში მაია ფავორიტია. ხალხი არ არის შეჩვეული იმ ამბავს, რომ მაია თამაშობს და არ იგებს. მაია ბევრს და, როგორც წესი, წარმატებით გამოდის ვაჟთა ტურნირებში, მას მამაკაცთა შორის დიდოსტატის წოდება აქვს. მისი უპირატესობა ამ მატჩში აშკარაა: ეს გახლავთ უდიდესი გამოცდილება. მას, უბრალოდ, საკვირველი ნერვული სისტემა აქვს, პროფესიულ-ფილოსოფიური მიდგომა ჭადრაკისადმი.

იოსელიანის მიმართაც ასევე გულწრფელი სიმპათიით ვარ განმსჭვალული. როგორ შევაფასოთ ისინი? იმ სკალას, რომ მივმართავდეთ, რომლის მიხედვითაც ფიგურისტთა გამოსვლები ფასდება, მაიას პირველი და მეორე შეფასებები, როგორც წესი, ერთნაირი ექნება, ნანას კი მეორე შეფასება — ყოველთვის პირველზე უფრო მაღალი. ვფიქრობ, ნანას ზოგჯერ, ასე ვთქვათ, ჭადრაკში „ადამიანურობის" სიჭარბე უშლის ხელს. მაგრამ წელს მან მოიგო ყველაფერი, რაც კი შეიძლებოდა, და თანაც ბრწყინვალედ მოიგო. გამოირკვა, რომ შეჯიბრებათა საკვანძო, გადამწყვეტ პარტიებს ნანა განსაკუთრებული აღმავლობით ატარებს.

ერთი სიტყვით, პროგნოზების გაკეთებას არ ვაპირებ.

**⊙ თუ მსოფლიო ჩემპიონთან შეხვედრის წინ თქვენს განცდებს გაიხსენებთ, რა გრძნობები ჭარბობს პრეტენდენტში — საბრძოლო განწყობითაა იგი თუ შიში ბოჭავს.**

— ეს კოქტეილია. ალბათ, ყველაფერი იმაზეც არის დამოკიდებული, ვის ეთამაშები. მე ასეც კი მეჩვენება, რომ მინიმალური ფსიქოლოგიური უპირატესობა ახლა ნანას მხარესაა.

**⊙ ნანას მხარეს?**

— დიახ, მაიასგან ხომ არავინ ელის დამარცხებას, ამიტომაც ნანას შეუძლია არ ეშინოდეს დამარცხებისა. მე სულ ახლახან შევხვდი მას, გოგლიძის მემორიალზე, ვკითხე როგორი განწყობა გაქვს-მეთქი და ასე მიპასუხა: „ერთი სული მაქვსო!.."

ესაუბრა
**პეპი ბოჭორიშვილი.**





**დიდი** ხნის ოცნება აუსრულდათ კასპის რაიონის პატარებს. თხუთმეტ სექტემბერს საზეიმოდ გაიხსნა კასპის საფეხბურთო სკოლა (დირექტორი ავთანდილ ჯალალი), რომელიც თოთხმეტი ჯგუფის 230-მდე ნორჩ ფეხბურთელს აერთიანებს.

ადგილობრივ სკოლაში შეიქმნა რვა ჯგუფი, ხოლო ახლომდებარე სოფლებში ექვსი. მწვრთნელების ნ. გურასპაშვილის, ვ. დარახველიძის, დ. ჩადუნელის, მ. გიგაურის, დ. კობაურის, ვ. მამულაშვილის, გ. მაკრახიძისა და ზ. იმერლიშვილის ხელმძღვანელობით ჭაბუკი ფეხბურთელები აიმაღლებენ თავიანთ ოსტატობას.

ბავშვებს მიესალმა და მომავალი წარმატება უსურვა სწავლასა და სპორტში, რაიონული ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ მილიციის უფროსმა გიზო ნიორაძემ. ახლო მომავალში მწყობრში ჩადგება ახალი გასახდელები თავისი სათავსებით.

კასპელ ბავშვებს წარმატება ვუსურვოთ სწავლაში და რაც მთავარია, დიდი ასპარეზი დიდ ფეხბურთში.

**ალექსანდრე კოტორაშვილი.**
ავტორის ფოტოები.

## გაისად უკეთ, ვიდრე წელს

### დამთავრდა აჭარის საფეხბურთო ჩემპიონატი

**აჭარის** წლევანდელი საფეხბურთო ჩემპიონატი გასული წლებისგან განსხვავებული სისტემით ჩატარდა. უძლიერესის სახელისთვის პირველი ჯგუფის 8 კოლექტივი იბრძოდა, ხოლო ამდენივე გუნდი მეორე ჯგუფის იმ სამი საგზურისთვის ასპარეზობდა, რომლებიც მომავალ წელს პირველი ჯგუფის ბინადრობის უფლებას ანიჭებს.

ავტონომიური რესპუბლიკის ჩემპიონობა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის გუნდმა მოიპოვა (დირექტორი ა. ჩინჩალაძე), მწვრთნელი დ. ბარკალაია).

მენავთობე ფეხბურთელებმა 14 მატჩიდან 10 მოიგეს, ერთი ფრედ დაამთავრეს და სამი წააგეს. მეორე ადგილზე გასულმა ურეხის „განთიადმა" სამი ქულით ნაკლები დააგროვა. აღსანიშნავია, რომ ურეხელებმა პირველი წრის 7 მატჩში მხოლოდ 4 ქულის აღება შეძლეს, სამაგიეროდ მეორე წრეში ყველა თამაში მოიგეს. 18 ქულა მოაგროვა ოჩხამურის „თოლიამაც", ოღონდ მას ერთით ნაკლები მოგება აქვს, ამიტომაც მას მესამე ადგილი მიეკუთვნა.

მეორე ჯგუფში პირველი სამეული ასე გამოიყურება: 1. „კინტრიში" (ქობულეთი), 2. „კახაბერი" (მეჯინისწყალი), 3. „მერცხალი" (მუხაესტატე). სამივე გუნდი გაისად პირველ ჯგუფში იასპარეზებს.

ახლა რამდენიმე კითხვა აჭარის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარეს, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის საერთო განყოფილების გამგეს **ენვერ ნაკაშიძეს**.

**⊙ აჭარის წლევანდელ საფეხბურთო ჩემპიონატში თუ იგრძნობოდა სასიკეთო ძვრები?**

— რომ გითხრათ ისეთი ფართო მასშტაბით შეიცვალა და გაუმჯობესდა ავტონომიური რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატი, რომ მომავალში მასზე ზრუნვა აღარ გვმართებსო, მართალი არ იქნება, მაგრამ სასიკეთო ძვრები მაინც იგრძნობა. წლევანდელ ჩემპიონატში დისციპლინის დარღვევის შემთხვევები შარშანდელთან შედარებით გაცილებით ნაკლები იყო, რაც განსაკუთრებით გვახარებს. კარგია, რომ მაყურებელმაც იგრძნო გარდაქმნის აუცილებლობა. შარშან ათამდე შეხვედრა ჩაიშალა სწორედ მაყურებლის უწესრიგობის მიზეზით, წელს კი ასეთი რამ არ ყოფილა. ეს სასიკეთო გარდაქმნა მიღწეულია ყოველი მატჩის მაღალი ორგანიზებულობით.

**⊙ რა გვიჩვენა წლევანდელმა ჩემპიონატმა, როგორი იყო მონაწილე კოლექტივების, ცალკეული ფეხბურთელების ოსტატობის დონე?**

— ბევრი გუნდი კარგად მოემზადა ჩემპიონატისთვის. ბუნებრივია, ასეთ კოლექტივებს ფეხბურთელებიც კარგი ჰყავთ, მაგრამ ზოგი გუნდი ერთობ სუსტად გამოიყურება, ეს განსაკუთრებით ითქმის მეორე ჯგუფის კოლექტივებზე. მაგალითად, ქვედა ულიანოვკის კოლმეურნეობის გუნდმა მთელ ჩემპიონატში მხოლოდ ერთი (!) ქულა მოაგროვა.

პრობლემად რჩება საფეხბურთო მინდვრების უკმარისობა, რის გამოც ზოგიერთი გუნდი სხვის მინდორზე ატარებს შეხვედრებს, ეს კი ზედმეტი ხარჯია, ვინაიდან სათამაშო მინდვრის იჯარისათვის გარკვეული თანხაა გადასახდელი. ფაქტია ისიც, რომ ყველა ბაზას არა აქვს გასახდელი, საშხაპე, მსაჯთა ოთახი. ასეთებია დაგვის, წინსვლის, გონიოს და სხვა კოლმეურნეობათა მოედნები. ახლა კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები ყველა ღონეს ხმარობენ აღნიშნული ხარვეზების გამოსასწორებლად და, ვფიქრობთ, მომავალ ჩემპიონატში ისინი ხელისშემშლელნი აღარ იქნებიან.

**ლევან ქავთარაძე.**
(„ლელოს" საკ. კორ.).
ბათუმი.



# სეულის XXIV ოლიმპიური თამაშები




# ოლიმპიადა გაიხსნა

(დასასრული)

საბჭოთა სპორტული დელეგაციის შემადგენლობაში 504 სპორტსმენია. მათგან ყველაზე ხნიერი 46 წლის ტაშკენტელი ცხენოსანი ანატოლი ტანკოვი გახლავთ, ყველაზე ახალგაზრდა კი 14 წლის მოსკოველი გოგონა, ევროპის ჩემპიონი ლენა მოროშინა, რომელიც წყალში მხტომელთა ტურნირში იასპარეზებს.

ოლიმპიადაზე ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი დელეგაცია შეერთებულმა შტატებმა წარმოადგინა. ჯილდოებისთვის ამ გუნდში 611 სპორტსმენი იბრძოლებს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ყველაზე სპორტული შტატი აშშ-ში კალიფორნია ყოფილა, რომელმაც ქვეყნის ნაკრებ გუნდებს 51 სპორტსმენი მოუმზადა. ამ მაჩვენებლით მეორე და მესამე ადგილებზე გავიდნენ ნიუ-იორკის (36), პენსილვანიისა და ფლორიდას (33-33) შტატები.

ოლიმპიური სტატისტიკა სხვა ბევრ საინტერესო ცნობასაც გვთავაზობს. როგორც გამოირკვა XXIV თამაშების ყველაზე ხანდაზმული მონაწილე 71 წლის აფროსანი (ბაგამის კუნძულებიდან) ნოულზ დეოვარდი იქნება, ყველაზე ახალგაზრდა კი 13 წლის ანგოლელი მოცურავე ნადია კრუჟი.

...თამაშების მონაწილეთა საზეიმო სვლა სტადიონზე კიდევ დიდხანს გრძელდებოდა. ტრადიციისამებრ ხალხმრავალ ტრიბუნებს სულ ბოლოს სამხრეთკორეის სპორტსმენთა დელეგაციამ ჩაუარა.

...საზეიმოდ მოწყობილ კოლონებს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ პაკ სე ჩეიკმა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა. მათ ილაპარაკეს თანამედროვე სამყაროში სპორტის როლზე, პლანეტის ხალხთა ურთიერთგაგებასა და თანამეგობრობაზე, მშვიდობის ძალასა და მნიშვნელობაზე. ამ მისასალმებელი სიტყვების შემდეგ სამხრეთ კორეის პრეზიდენტმა რო დე უმ თანამედროვეობის XXIV ოლიმპიური თამაშები გახსნილად გამოაცხადა. აგრიალდა სამხედრო ორკესტრი და სტადიონზე ოლიმპიური ალამი შემოიტანეს. იგი მოჰქონდა სხვადასხვა წლების რვა ოლიმპიურ პრიზიორს.

თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიალის კულმინაციად, ტრადიციულად, ოლიმპიური ცეცხლის ანთება ითვლება. 21 დღის წინ შორეულ საბერძნეთში მზის სხივებისაგან ჩირაღდანი კატერინა დიდასკალუმ დაანთო. შემდეგ იგი თვითმფრინავით სამხრეთ კორეის მიწაზე ჩამოიტანეს. აქ „ცეცხლოვან ესტაფეტაში" მონაწილეობა მიიღო ათასობით სპორტსმენმა და სამხრეთკორეელმა ახალგაზრდამ. სტადიონზე ოლიმპიური ცეცხლის ანთებას მქუხარე ოვაციები მოჰყვა.

სპორტსმენთა და მსაჯთა ოლიმპიური ფიცის შემდეგ მონაწილეებმა დასტოვეს სტადიონი, დღესასწაული კი კიდევ დიდხანს გრძელდებოდა. თანაც არა მარტო მთავარ სარბიელზე, არამედ ჰაერში და წყალზე. ამ ემოციური სანახაობის შემდეგ ოლიმპიადამ ჩვეულებრივი ცხოვრება დაიწყო. შაბათს სასპარეზოდ გამოვიდნენ კალათბურთელები, მოკრივეები, ფრენბურთელები, წყალში მხტომელები და ფეხბურთელები, დღეს, კვირას კი XXIV ოლიმპიადის პირველ ჩემპიონთა გვარებს გავიგებთ.





სურათებზე: ზეიმი ოლიმპიურ სტადიონზე; ოლიმპიურ სოფელში საზეიმო განწყობილება სუფევს. ფოტოზე აღბეჭდილია კანადისა და საბჭოთა კავშირის ჩოგბურთელთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან) — მ. ჰენრიკედა, ლ. მესხი, ჰ. კელესი, ლ. სავჩენკო და ნ. ზვერევა.

საქდეს-საქინფორმისა და ა. კოტორაშვილის (ტელეეკრანიდან) ფოტოები.

# „მეჩვიდმეტე ოლიმპიელი"

**როგორც** ვიუწყებოდით, ჩვენი რესპუბლიკის 16 სპორტსმენი გამოვა სეულის ოლიმპიადაზე. სინამდვილეში კი სეულში ჩასულნი 17 თბილისელი სპორტსმენის ოსტატობას იხილავენ. ეს მეჩვიდმეტე ჩვენი ქალაქის მკვიდრი, ცნობილი პარაშუტისტი, ნ. უშმაევი გახლავთ.

იგი გუშინ მონაწილეობდა თამაშების გახსნის ცერემონიალზე — — ამერიკელ პარაშუტისტებთან ერთად ხუთ ოლიმპიურ რგოლში ჩაბმული დაეშვა ოლიმპიურ სარბიელზე. თუ როგორი ოსტატობით შეასრულა უშმაევმა ეს ტელემაყურებლებმა ნახეს. გაცნობებთ მხოლოდ, რომ ასეთი პატივი მას დასდეს იმ დიდი მიღწევებისათვის, რომელიც ამ 42 წლის მამაცთა სპორტის წარმომადგენელს აქვს. საკმარისია ითქვას, რომ იგი ერთადერთი პარაშუტისტია, რომელმაც მსოფლიოს ორგზის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა, მის აქტივშია 10.700 ნახტომი.



სურათზე: ნ. უშმაევი.

# დღეს, 18 სექტემბერს...

## ოლიმპიადაზე:

შეჯიბრებებს აგრძელებენ კალათბურთელები, მოკრივეები, ფრენბურთელები, წყალში მხტომელები, ფეხბურთელები.

ასპარეზობაში ჩაებმებიან კლასიკური სტილით მოჭიდავეები, ველოსიპედისტები, ტანმოვარჯიშეები, მოცურავეები, ხუთჭიდელები, მსროლელები, ძალოსნები, ჰოკეისტები.

გათამაშდება ოლიმპიური მედლების პირველი კომპლექტები შემდეგ სახეობებში:

**ტყვიის სროლა. ქალები.** პნევმატური შაშხანა, 40+10 გასროლა. **ვაჟები.** ნებისმიერი პისტოლეტი, 60+10 გასროლა;

**ველოსპორტი. ვაჟები.** საგზატკეცილო გუნდური რბოლა, 100 კმ;

**ძალოსნობა.** 52 კგ;

**წყალში ხტომა. ქალები.** კოშკი.

## ცისფერ ეკრანზე:

**12.30-14.30.** წყალში ხტომა, ტანვარჯიში (1);

**14.30-18.00.** კრივი, ტანვარჯიში, წყალში ხტომა (2);

**21.00-22.00.** კრივი, ოლიმპიადის დღიური (1);

**22.40-02.35.** ძალოსნობა, ტანვარჯიში, კრივი, კალათბურთი (ვაჟები); სსრ კავშირი — იუგოსლავია (1).

# გუშინ...

**ოლიმპიადის სპორტულ ბაზებზე სასტარტო შეჯიბრებები მოეწყო.**

**წყალში ხტომა. კოშკი.** პირველი დღის შემდეგ ლიდერთა სამეული ასე გამოიყურება: 1. ჩენ სიაოდანი (ჩინეთი), 2. მიშელ მიტჩელი (აშშ), 3. ხოი იანმეი (ჩინეთი). მინსკელი ანჟელა სტასიულევიჩი ჯერჯერობით მეხუთე ადგილზეა, მოსკოველი მოსწავლე, 14 წლის ელენა მიროშინა კი მეექვსეზე.

**კრივი.** 54 კგ. ლენინგრადელი ალექსანდრე არტიომოვი მეორე წრეში უბრძოლველად გავიდა. მის მეტოქეს ედუარდ პაულულუმს (ვანუატუ) წონა ჰქონდა მომატებული და მსაჯებმა რინგზე არ დაუშვეს.

**ფეხბურთი.** „ა" ჯგუფი. გფრ — ჩინეთი 3:0 (1:0), შვეცია — ტუნისი 2:2 (2:2). „ბ" ჯგუფი. იტალია გვატემალა 5:2 (4:1), ზამბია — ერაყი 2:2 (1:1).

# რესპუბლიკაში პირველი

**როგორც** ვიუწყებოდით, ერევანში გამართულ საკავშირო პირველობაზე საგზატკეცილო რბოლაში 80 კმ-ზე ქალთა რბოლაში ყველას აჯობა ქობულეთელმა სტელა პრიახინამ (პროფკავშირები), რომელმაც მანძილი 1:54,43 დაფარა, რითაც საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. იგი ჩვენს რესპუბლიკაში პირველი ველომრბოლი ქალია, რომელიც ამ მაღალ შედეგს მისწვდა.

## კვირიდან კვირამდე

**„იზვესტია" — 13 სექტემბერი.** „საფეხბურთო თასების გარშემო". საბჭოთა კავშირის საკლუბო გუნდები ევროპის საფეხბურთო ტურნირებზე.

**„კომსომოლსკაია პრავდა"— 11 სექტემბერი.** „კონტაქტები და კონტრაქტები". სპორტი და ეკონომიკა — ამ ბოლო დროს ეს სიტყვები ხშირად გვესმის ერთად. ინტერვიუ საკავშირო სპორტსახკომის საგარეო ეკონომიკური კავშირების სამმართველოს უფროს ა. პროგრებნოისთან.

**14 სექტემბერი.** „ჯანმრთელობას ვერ იყიდი". როგორც ირკვევა, ჩვენს ქვეყანაში, არცთუ დიდ პატივში არიან ფიზკულტურელები. რატომ ხდება ეს?

**„სოვეტსკი სპორტი" — 11 სექტემბერი.** „კიდევ ერთხელ ემოციებისა და ბანკნოტების შესახებ". უცხოეთში წასულ საბჭოთა სპორტსმენთა შრომის ანაზღაურების პრობლემა ერთ-ერთი აქტუალური თემაა დღევანდელ დღეს.

**16 სექტემბერი.** „შავი ელვები". საუკუნის დუელს უწოდებენ ამერიკელი კარლ ლუისისა და კანადელი ბენ ჯონსონის პაექრობას. ამჯერად ისინი სეულში შეხვდებიან ერთმანეთს.

# „სოვეტსკი სპორტის" პრიზზე

**მოსკოვში** დაიწყო რეგბისტთა საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" პრიზზე.

ეს ტრადიციული შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობს ოთხი გუნდი — საბჭოთა კავშირის პირველი და ახალგაზრდული, რუმინეთისა და აშშ-ის ნაკრებები—25 სექტემბრამდე გასტანს.

ტურნირი გაიხსნა მასპინძელთა პირველი და ახალგაზრდული გუნდების შეხვედრით. პირველ ტაიმში უმცროსებმა ტოლი არ დაუდეს უფროსებს და აჯობეს კიდეც მათ — 6:3, მაგრამ შემდეგ გამოცდილებამ თავისი გაიტანა და საბოლოოდ გაიმარჯვა პირველმა ნაკრებმა — 13:10.

**რედაქტორის მოადგილე Შ. ჩიჩინაძე.**

**საქართველოს** სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი აცხადებს მიღებას 1988-89 სასწავლო წლისათვის ასპირანტურის დასწრებულ (წარმოებისაგან მოწყვეტით) და დაუსწრებელი (წარმოებისაგან მოუწყვეტლად) სწავლების განყოფილებებზე.

დასწრებული სწავლების განყოფილებაზე მიღება წარმოებს ფიზიკური აღზრდისა და სპორტული წვრთნის თეორიასა და მეთოდიკის სპეციალობით (სპორტის სახეების მიხედვით) — 3 ადგილი.

დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე მიღება იწარმოებს:

ჰიდაობის სპეციალობით — 1 ადგილი (მიზნობრივი, გორის ეკონომიკის ინსტიტუტისათვის).

ფიზიკური აღზრდისა და სპორტული წვრთნის თეორიასა და მეთოდიკის სპეციალობით — 2 ადგილი (ერთი მიზნობრივი ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტისათვის).

კონკურსის მონაწილემ უნდა წარმოადგინოს განცხადება რექტორის სახელზე, დახასიათება-რეკომენდაცია უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, კადრების აღრიცხვის ფურცელი, დიპლომის ასლი, 4 ფოტოსურათი (ზომა 6X9), ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, ავტობიოგრაფია (საბუთები წარმოდგენილი უნდა იქნეს ორ ეგზემპლიარად). საბუთებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია. ვისაც სამეცნიერო შრომები არა აქვს, ის წარმოადგენს რეფერატს არჩეული სპეციალობის შესაბამისად.

**დასწრებული სწავლების** განყოფილებაზე (წარმოებისაგან მოწყვეტით) მიიღებიან უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქენი 35 წლის ასაკამდე არანაკლებ ორი წლის მუშაობის სტაჟით სპეციალობის მიხედვით.

ახალდამთავრებულებს უფლება აქვთ ჩააბარონ მისაღები გამოცდები იმ შემთხვევაში თუ მათ ექნებათ ინსტიტუტის საბჭოს რეკომენდაცია (ამ შემთხვევაში სხვა საბუთებთან ერთად საჭიროა საბჭოს სხდომის ოქმის ამონაწერი).

**დაუსწრებელი სწავლების** განყოფილებაზე (წარმოებისაგან მოუწყვეტლად) მიიღებიან მოქალაქენი 45 წლის ასაკამდე არა ნაკლებ ორი წლის მუშაობის სტაჟით სპეციალობის მიხედვით.

საბუთები მიიღება ორი კვირის განმავლობაში დღიდან გამოცხადებისა.

ასპირანტურაში შემსვლელები აბარებენ საკონკურსო მისაღებ გამოცდებს მარქსიზმ-ლენინიზმში, ერთ-ერთ უცხო ენაში და სპეციალობაში.

გამოცდები დაიწყება 3 ოქტომბერს.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის სამეცნიერო განყოფილებაში.

მისამართი: 380062, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 49. ტელეფონი — 23-20-05.

„სპორტპროგნოზი", 39-ე ტირაჟის პროგრამა (25-26 სექტემბერი)

| | | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|---|
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)** | | | | | |
| 1. „შახტიორი" (დონეცკი) — „კაირატი" (ალმა-ათა) | 25.IX | 80 | 10 | 10 |
| 2. „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „ტორპედო" (მოსკოვი) | 25.IX | 50 | 40 | 10 |
| 3. „სპარტაკი" (მოსკოვი) — „მეტალისტი" (ხარკოვი) | 25.IX | 80 | 10 | 10 |
| 4. „ჩერნომორეცი" (ოდესა) — „დინამო" (კიევი) | 25.IX | 10 | 60 | 30 |
| 5. „დინამო" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 25.IX | 30 | 50 | 20 |
| 6. „არარატი" (ერევანი) — „ზენიტი" (ლენინგრადი) | 25.IX | 60 | 30 | 10 |
| 7. „ნეფთჩი" (ბაქო) — „დინამო" (მინსკი) | 25.IX | 40 | 40 | 20 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)** | | | | | |
| 8. ასკ „კარპატი" (ლვოვი) — „როსტსელმაში" (როსტოვი) | 26.IX | 70 | 20 | 10 |
| 9. „როტორი" (ვოლგოგრადი) — „ტავრია" (სიმფეროპოლი) | 26.IX | 50 | 40 | 10 |
| 10. „კოტაიკი" (აბოვიანი) — „დინამო" (ბათუმი) | 26.IX | 60 | 30 | 10 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)** | | | | | |
| 11. „კრილია სოვეტოვი" (მოსკოვი) — „ხიმიკი" (ვოსკრესენსკი) | 26.IX | 80 | 10 | 10 |
| 12. „ავტომობილისტი" (სვერდლოვსკი) — „დინამო" (მინსკი) | 26.IX | 80 | 10 | 10 |
| 13. „ტრაქტორი" (ჩელიაბინსკი) — „დინამო" (მოსკოვი) | 26.IX | 10 | 30 | 60 |

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10843